საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოშაძე ლერი პავლეს ძე

გოშაძე ლერი პავლეს ძე (დ. 11. XII. 1935, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (2005).

1962 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკულტეტი (სპეციალობით – არქიტექტურა). 1960–63 მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში „საქქალაქმშენსახპროექტი", 1963–67 – საკავშირო საპროექტო ინ-ტის „სოიუზკურორტპროექტის" საქართვ. ფილიალში არქიტ. ჯგუფის ხელმძღვანელად. 1967–98 – კვლავ „საქქალაქმშენსახპროექტში" პროექტის მთავარ არქიტექტორად, 1999-იდან 2005-მდე – შპს „თბილქალაქპროექტის“ ქალაქგეგმარების სამმართველოში ჯგუფის ხელმძღვანელად. 2005 იყო საქართვ. ეკონომიკის სამინისტროს სამშენებლო პროექტების სახელმწ. ექსპერტიზის სამმართველოს განყ-ბის გამგე.

ძირითადი ნამუშევრები: რუსთავის გენგეგმა (1967, ლ. სუმბაძესთან, მ. მელიქიშვილთან, შ. ბაღაშვილსა და თ. წერეთელთან ერთად); მესტიის გენგეგმა (1973, ბ. გაბუნიასთან ერთად); ზუგდიდის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენგეგმა (1977, თ. ლომთაძესა და ზ. ჟვანიასთან ერთად); ექსპერ. მიკრორაიონი ბათუმში (1977, გ. გეგეშიძესთან, ნ. მაღლაკელიძესთან ერთად); ქუთაისის გენგეგმა (1978, ზ. ქურდიანთან, ნ. მიქაძესთან, ა. ლომთაძესა და თ. ლომთაძესთან ერთად); ქალაქ-კურორტის გაგრის გენგეგმა (1979, ნ. მიქაძესა და ე. ბაგრატიონთან ერთად).